ინფორმაცია 2014 წლის 9 თვის შესრულების შესახებ

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 9 თვის ანგარიში წარმოდგენილია „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონთან მიმართებაში.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მშპ-ის ზრდა დაგეგმილი იყო 5%-ის ფარგლებში, თუმცა რეგიონში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი რეგიონის ყველა ქვეყნისთვის და მთლიანად რეგიონისთვის მნიშვნელოვნად შემცირდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდთან კონსულტაციით, საქართველოს მთავრობის მიერ დაკორექტირდა მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი (2%-მდე) და სხვა ეკონომიკური და ფისკალური პარამეტრები და საქართველოს პარლამენტმა მიმდინარე წლის ივლისში დაამტკიცა „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონი.

ეკონომიკური ზრდა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემების მიხედვით, 2015 წლის პირველი ცხრა თვის მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან 2.7 პროცენტი შეადგინა. აქედან, 2015 წლის I კვარტალის საშუალო რეალურმა ზრდამ 3.2 პროცენტი, II კვარტალში 2.5 პროცენტი, ხოლო III კვარტალში 2.5 პროცენტი შეადგინა.

2015 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: მშენებლობა (15.7%), საფინანსო საქმიანობა (9.7%), სასტუმროები და რესტორნები (7.9%), ტრანსპორტი (6.8%).

ფასები

2015 წლის სექტემბერში 2014 წლის დეკემბერთან შედარებით სამომხმარებლო ფასები 4.4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო 2014 წლის სექტემბერთან შედარებით 5.2 პროცენტით. ამასთან, 2014 წლის შესაბამის პერიოდში ინფლაციის მაჩვენებელი 4.8 პროცენტი იყო.

12 თვიან ინფლაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა სამომხმარებლო კალათის სამმა სასაქონლო ჯგუფმა მოახდინა. სამომხმარებლო ფასები ალკოჰოლური სასმელებმა და თამბაქომ 13.4 პროცენტით, ჯანდაცვამ 9.8 პროცენტით, ხოლო სურსათმა და უალკოჰოლო სასმელებმა 4.2 პროცენტით გაზარდა.

საგარეო სექტორი

2015 წლის იანვარ-სექტემბერში საგარეო სავაჭრო ბრუნვა, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 13 პროცენტით შემცირდა და 7 309 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან ექსპორტი 1 645 მლნ აშშ დოლარი იყო, ხოლო იმპორტი 5 664 მლნ აშშ დოლარი, რაც შესაბამისად, 24 პროცენტით და 9 პროცენტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სავაჭრო ბალანსი არ გაუარესებულა და 2014 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით ნომინლურ გამოხატულებაში უარყოფითი ბალანსი შემცირებულია.

საქონელბრუნვის მიხედვით საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი თურქეთს უკავია, რომლის წილი მთლიანი საქონელბრუნვის 15.2 პროცენტს შეადგენს. მას მოსდევს აზერბაიჯანი 8.1, ჩინეთი 7.3, რუსეთი 7.3, უკრაინა 5.1 პროცენტული წილებით და ა.შ.

ექსპორტში 12.1 პროცენტით პირველ ადგილზე აზერბაიჯანია, მეორეზე ბულგარეთი 10.1 პროცენტით, მესამეზე თურქეთი 8.9 პროცენტით, მეოთხეზე სომხეთი 8.7 პროცენტით

იმპორტში პირველი ადგილი თურქეთს უჭირავს 17.0 პროცენტით, შემდეგ მოდიან ჩინეთი 7.9 პროცენტი, რუსეთი 7.4 პროცენტი, აზებაიჯანი 6.9 პროცენტი და ა.შ.

სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტში პირველ ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრატები 11.3 პროცენტით, მომდევნო ადგილებს იკავებენ: ფეროშენადნობები 9.7 პროცენტი, მსუბუქი ავტომობილები 8.6 პროცენტი, თხილი და სხვა კაკალი 6.9 პროცენტი, სამკურნალო საშუალებები 5.9 პროცენტი და ა.შ.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე სამკურნალო საშუალებებია, რომელსაც მთლიან იმპორტში 9.5 პროცენტიანი წილი უკავია. შემდეგ მოდიან: ნავთობი და ნავთობპროდუქტები 8.9 პროცენტი, მსუბუქი ავტომობილები 6.2 პროცენტი, ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადებია 5.1 პროცენტი და ა.შ.

ინფორმაცია საქართველოს 2015 წლის იანვარ-სექტემბრის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ

2015 წლის იანვარ-სექტემბრის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 6 367 115,1 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 6 580 183,6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 103,3%.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 5 772 599,1 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 5 910 195,3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 102,4%.

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 173 447,8 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 197 416,2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 113,8%.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 421 068,2 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 472 572,2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 112,2%.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 260 578,9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (204 123,8 ათასი ლარი) 127,7%-ია. აქედან, შემოსულობა რადიოსიხშირული სპექტრის სარგებლობის ლიცენზიიდან შეადგენს 136 572,0 ათას ლარს (შპს მობიტელის, შპს ჯეოსელის და შპს მაგთიკომის მიერ ლიცენზიებით გათვალისწინებული ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის თანხები).

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 49 047,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელის (51 194,1 ათასი ლარი) 95,8%-ია.

2015 წლის იანვარ-სექტემბრის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათას ლარებში

	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	6,367,115.1	6,580,183.6	213,068.6	103.3
გადასახადები	5,772,599.1	5,910,195.3	137,596.2	102.4
საშემოსავლო გადასახადი	1,516,159.0	1,590,783.4	74,624.4	104.9
მოგების გადასახადი	813,944.0	858,670.0	44,726.0	105.5
დამატებული ღირებულების გადასახადი	2,550,646.3	2,583,049.9	32,403.6	101.3
აქციზი	643,684.5	625,472.1	-18,212.4	97.2
იმპორტის გადასახადი	51,346.6	51,383.8	37.2	100.1
ქონების გადასახადი	179,052.7	183,298.9	4,246.2	102.4
სხვა გადასახადი	17,766.0	17,537.0	-229.0	98.7
გრანტები	173,447.8	197,416.2	23,968.4	113.8
სხვა შემოსავლები	421,068.2	472,572.2	51,504.0	112.2

ნაერთი ბიუჯეტის გადასახადების წლიური და 9 თვის შესრულება 2010-2015 წლებში



ინფორმაცია საქართველოს 2015 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების წლიური და 9 თვის შესრულება 2009-2015 წლებში



2015 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 5 847 103,1 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 6 025 525,0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 103,1%.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 5 484 595,2 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 5 602 569,7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 102,2%.

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 159 377,8 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 196 818,6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 123,5%.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 203 130,1 ათასი ლარის ოდენობით, მობილიზებულ იქნა 226 136,7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 111,3%.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 212 592,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელის (176 771,8 ათასი ლარი) 120,3%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 48 630,7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (50 739,5 ათასი ლარი) 95,8%-ია.

2015 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათას ლარებში

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	5,847,103.1	6,025,525.0	178,421.9	103.1
გადასახადები	5,484,595.2	5,602,569.7	117,974.5	102.2
გრანტები	159,377.8	196,818.6	37,440.8	123.5
სხვა შემოსავლები	203,130.1	226,136.7	23,006.6	111.3

2015 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათას ლარებში

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
გადასახადები	5,484,595.2	5,602,569.7	117,974.5	102.2
საშემოსავლო გადასახადი	1,407,207.8	1,466,540.2	59,332.4	104.2
მოგების გადასახადი	813,944.0	858,670.0	44,726.0	105.5
დამატებული ღირებულების გადასახადი	2,550,646.3	2,583,049.9	32,403.6	101.3
აქციზი	643,684.5	625,472.1	-18,212.4	97.2
იმპორტის გადასახადი	51,346.6	51,383.8	37.2	100.1
სხვა გადასახადი	17,766.0	17,453.6	-312.4	98.2

სახელმწიფო ვალების აღება და დაფარვა

ვალდებულებების ზრდამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 974 035.0 ათასი ლარი, მათ შორის:

- 330 484.1 ათასი ლარი - საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით წმინდა ზრდა;
- 349 728.2 ათასი ლარი - საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და სხვა სახელმწიფოების მთავრობებისგან მიღებული საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები;
- 293 822.2 ათასი ლარი - ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები;
- 0.5 ათასი ლარი - ხაზინის ერთიან ანგარიშზე შეცდომით ჩარიცხული თანხა (აღნიშნული თანხა დონორი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში დაკორექტირდება და აისახება შესაბამის ანგარიშზე).

ათას ლარებში

დასახელება	**საანგარიშო პერიოდის ფაქტი**
ბიუჯეტის მხარდაჭერის კრედიტები	**293,822.2**
WB	269,085.6
EU	24,736.6
საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები	**349,728.2**
IFAD	3,933.9
WB	101,948.9
EBRD	9,156.7
ADB	126,548.5
EIB	34,661.6
საფრანგეთი	5,631.2
იაპონია	49,069.0
გერმანია	18,778.4
სულ კრედიტები	**643,550.4**

საშინაო ფასიანი ქაღალდები

2015 წლის 9 თვის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 30 აუქციონი, გამოშვებული იყო სახაზინო ფასიანი ქაღალდები 788,996.0 ათასი ლარის მოცულობით, ამავე პერიოდში დაიფარა 449,200.0 ათასი ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდი. ფასიანი ქაღალდების გამოშვების კომპოზიცია: 49.3% იყო 12 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 28.5% - 2 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები, 19.6% - 5 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები და 2.6% - 10 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები.

საანგარიშო პერიოდში ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებულმა თანხამ 759 364.3 ათასი ლარი, ხოლო ძირითადი თანხის დაფარვამ 428 880.2 ათასი ლარი შეადგინა. შედეგად, საშინაო ვალდებულების წმინდა ზრდამ შეადგინა 330 484.1 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი პარამეტრის 82.6%-ია. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დაგეგმილი ემისიის მოცულობის შემცირების შესახებ.

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის N29 განკარგულებით განისაზღვრა ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისთვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვის და დაფარვის წესი. ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის მექანიზმისთვის 2015 წელს დაგეგმილი 100 000.0 ათასი ლარის ემისიიდან, საანგარიშო პერიოდში, ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ 99 996.0 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული თანხა განთავსდა ვადიანი დეპოზიტის სახით, სახაზინო ობლიგაციების მყიდველ კომერციულ ბანკებში, ფასიანი ქაღალდების ვადიანობის შესაბამისად, კუპონის განაკვეთს დამატებული 1 საპროცენტო პუნქტი.

ვალის მომსახურება და დაფარვა

2015 წლის 9 თვეში სახელმწიფოს მიერ ვალის მომსახურებასა და დაფარვაზე მიიმართა 564.6 მლნ ლარი, მათ შორის:

- საგარეო ვალდებულებები - 408.0 მლნ ლარი
  - ✓ მომსახურება - 106.9 მლნ ლარი;
  - ✓ დაფარვა - 301.1 მლნ ლარი;
- საშინაო ვალდებულები - 156.6 მლნ ლარი;
  - ✓ მომსახურება - 129.6 მლნ ლარი;
  - ✓ დაფარვა - 27.0 მლნ ლარი;

2015 სახელმწიფო ბიუჯეტის 9 თვის გადასახდელები

სულ გადასახდელები	9 თვის დაზუსტებული გეგმა	9 თვის ფაქტიური შესრულება	შესრულება %
	7,208,173.1	**6,911,526.1**	**95.9%**
ხარჯები	6,001,400.8	5,850,171.2	97.5%
შრომის ანაზღაურება	1,034,894.7	1,008,126.3	97.4%
საქონელი და მომსახურება	709,846.8	649,849.4	91.5%
პროცენტი	253,223.9	236,541.2	93.4%
სუბსიდიები	176,707.2	173,883.5	98.4%
გრანტები	918,604.9	916,847.5	99.8%
სოციალური უზრუნველყოფა	2,068,045.4	2,065,272.4	99.9%
სხვა ხარჯები	840,077.9	799,650.9	95.2%
არაფინანსური აქტივების ზრდა	548,368.1	417,180.6	76.1%
ფინანსური აქტივების ზრდა	313,140.7	303,235.4	96.8%
ვალდებულებების კლება	345,263.5	340,939.0	98.7%

ათას ლარებში



ათას ლარებში

სარეზერვო ფონდები და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

✓ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის ასიგნებები განისაზღვრა 70 000.0 ათასი ლარით. ამასთან, „მიმდინარე წლის 13-14 ივნისს ქალაქ თბილისში მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 ივლისის N 1397 და „სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის დაფინანსების მიზნით განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 სექტემბრის N 2047 განკარგულებების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის ასიგნებები გაიზარდა 1 937.0 ათასი ლარით წლიური საბიუჯეტო კანონით ზოგიერთი მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების შემცირების ხარჯზე და განისაზღვრა 71 937.0 ათასი ლარით.

საქართველოს მთავრობის განკარგულებებით და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებებით საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 77 781.3 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 65 285.5 ათასი ლარი.

- ✓ **საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი**

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 3 242.7 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა - 1 754.4 ათასი ლარი.

- ✓ **საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი**

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ასიგნებები განისაზღვრა 385 000.0 ათასი ლარით.

საქართველოს მთავრობის მიერ საანგარიშო პერიოდში მიღებული განკარგულებებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნების მოცულობამ შეადგინა 397 618.2 ათასი ლარი, ხოლო სახაზინო სამსახურის მიერ გადარიცხულმა თანხებმა - 267 076.4 ათასი ლარი.

ინფორმაცია 2015 წლის იანვარ-სექტემბერში სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე

მლნ ლარი

დასახელება	01.01.2015	01.10.2015
ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებული სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი	261.6	510.8
ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნების ქვეანგარიში	83.7	8.9
სახაზინო სამსახურის სავალუტო ანგარიშებზე რიცხული ნაშთი	180.1	202.8
მიზნობრივი გრანტები	19.3	18.6
ხაზინის ერთიან ანგარიშზე რიცხული დეპოზიტური ნაშთი	38.4	40.5
ხაზინის ერთიან ანგარიშზე რიცხული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რასპუბლიკების ბიუჯეტების კუთვნილი თანხები	4.8	43.9
ხაზინის ერთიან ანგარიშზე რიცხული სსიპ-ების და ააიპ-ების ნაშთი	0.0	72.4
სულ ანგარიშებზე რიცხული ნაშთი	**587.9**	**898.0**

საქართველოს კომერციულ ბანკებში, სახელმწიფო ერთიანი ბიუჯეტის ანგარიშებზე რიცხული სახსრები 2015 წლის პირველი 1 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგენს 722.9 მლნ ლარს:

მლნ ლარი

კომერციულ ბანკში რიცხული სახელმწიფო ბიუჯეტის ფულადი სახსრები *	272.8
კომერციულ ბანკში რიცხული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რასპუბლიკების ბიუჯეტების ნაშთი	272.2
კომერციულ ბანკებში რიცხული სსიპ-ების და ააიპ-ების ნაშთი	177.9
სულ ანგარიშებზე რიცხული ნაშთი	**722.9**